საბერძნეთსა და ესპანეთში მომვლელობითი საქმიანობით დაკავებული მიგრირებული ქართველი ქალების ჰაბიტუსის ტრანსფორმაცია

თამარ ჩხარტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჩხარტიშვილი

17/01/2023

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება მომვლელობითი საქმიანობით დაკავებული საშუალო ასაკის ქართველი განქორწინებული ქალი ემიგრანტების ჰაბიტუსის ტრანსფორმაცის შესწავლას საბერძნეთსა და ესპანეთში. ასევე, კვლევისთვის საინტერესოა, ის გრძნობითი და მატერიალური განზომილებები, რომლითაც ემიგრანტი ქალების სხვის სახლში ცხოვრების გამოცდილებას ახასიათებენ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს „ტრადიციულ“ ქართულ ოჯახებში აღზრდილი ქალების ცხოვრების ტრაექტორიის აღწერა და მიგრაციის ემანსპირატორული მნიშვნელობის გააზრება. კვლევის მნიშვნელოვან ფოკუსს წარმოადგენს რესპონდენტების ახალ რეალობაში ცხოვრების სპეფიციკური გამოცდილებები, მათ შორის, „ახალ“, სხვის სახლში ცხოვრების გამოცდილება. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების მეშვეობით აღიწერა რესპონდენტთა ცხოვრების სპეფიციკური გამოცდილები, რომელიც ეხება როგორც ემიგრაციაში წასვლის შემდგომ პერიოდს, ასევე ბავშვობას, მოზარდობასა და ზრდასრულობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა თუ როგორ იმოქმედა რესპონდენტების პირველადი ჰაბიტუსის ჩამოყალიბებაზე იმ არათანასწორმა გენდერულმა გარემომ, რომელშიც ისინი აღიზარდნენ. ასევე გამოვლინდა ის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები, რომლებსაც რესპონდენტები ავლენენ მოზარდობისა და ზდასრულობის დროს; სახლის, როგორც საერთო საზიარო საჯარო სივრცის გაზიარების დროს; ქორწინების გადაწყვეტილების მიღების და შემდგომ პერიოდში და რაც მთავარია, ემიგრაციაში წასვლის შემდგომ. კვლევის პროცესში გამოვლინდა, თუ როგორ არის ემიგრაცია დაკავშირებული მათი ჰაბიტუსის ტრანფორმაციასთან და რა ტიპის თავისუფლებასა თუ დამოუკიდებლობას ანიჭებს ემიგრაციაში წასვლა საშუალო ასაკისა და საშუალო ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე მსგავსი ჰაბიტუსის მქონე ქალებს, თუ რა არის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლითაც ისინი ტრანსფორმიდებიან და დგამენ ქმედით ნაბიჯებს საკუთარი ოცნებების ასახდენად.

საკვანძო სიტყვები: ჰაბიტუსი, გენდერული სოციალიზაცია, განქორწინება, მიგრაცია, ეკონომიკური და სოციალური კაპიტალი, სახლი და საკუთარი სივრცე.

Abstract

This paper examines the habitus transformation of middle-aged divorced Georgian female immigrants engaged in caring activities. Also, the emotional and material dimensions that characterize the experience of immigrant women living in someone else's home are of interest to the research.

The research aims to describe the trajectories of life of women brought up in "traditional" Georgian families and to understand the emancipatory significance of migration, an essential focus of the research is the respondents' specific experiences of living in a new reality, including the experience of living in a "new" home. With the biographical-narrative interviews, the specific life experiences of the respondents were described, which refers to the period after emigration, as well as during childhood, adolescence, and adulthood.

As a result of the research, it was revealed that the unequal gender environment in which the respondents grew up affected the formation of their primary habitus. The main common and distinguishing tendencies that the respondents showed during adolescence and adulthood were also revealed; while sharing the house as a shared public space, During and after the decision to marry, and, most importantly, after emigration. The study revealed how emigration is related to the transformation of their habitus and what type of freedom or independence emigration gives to middle-aged women of average economic ability with similar habitus. What are the main criteria by which they transform and take actionable steps to make their dreams come true?

Key words: habitus, gender socialization, divorce, migration, economic and social capital, home and own space.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო რჩეულიშვილს, გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში ჩართულ თითოეულ რესპონდენტს, თავიანთი ისტორიის გულრწფელად გაზიარებისთვის. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ემოციური მხარდაჭერისთვის, მინდა, მადლობა გადავუხადო დედაჩემსა და ჩემს მეგობრებს.